გამოიყენე კონდომი და იყავი ჯანმრთელი

იცით თუ არა, რომ ქალის და მამაკაცის კონდომი:

- დაგიცავთ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან, როგორიცაა აივ/შიდსი, B და C ჰეპატიტი;
- დაგიცავთ პაპილომა ვირუსით დაინფიცირებისგან, რომელიც საშვილოსნოს ყელის კიბოს ერთ-ერთი მიზეზია;
- აგაცილებთ არასასურველი ორსულობის საფრთხეს;
- დაიცავს თქვენს პარტნიორს დაინფიცირებისგან;
- საშუალებას გაძლევთ ისიამოვნოთ უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრებით;
- გაძლევთ საშუალებას პარტნიორთან ერთად დაგეგმოთ თუ რამდენი შვილი და როდის იყოლიოთ.

მამაკაცის და ქალის კონდომი მიეკუთვნება თანამედროვე კონტრაცეფციის ბარიერულ მეთოდებს. ქალის კონდომი ერთ-ერთი უსაფრთხო მეთოდია, მის გამოყენებას თან არ სდევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არავითარი რისკი და გვერდითი მოვლენები.

ქალის კონდომი წარმოადგენს ძლიერ, თხელ 17 სანტიმეტრიან ფუტლიარს. რომელიც წარმოდგენილია შიგნითა და გარეთა რგოლით. შიგნითა რგოლი თავსდება საშოში და ქმნის ბარიერს სქესობრივი აქტის დროს, ხოლო გარეთა რგოლი უზრუნველყოფს დამატებით დაცვას, რადგან ის მთლიანად ფარავს ქალის გარეთა სასქესო ორგანოებს.

ქალბატონებო !!!!

თუ თქვენს პარტნიორს არ სურს კონდომის გამოყენება, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა გამოიყენოთ ქალის კონდომი, რომელიც ისეთივე უსაფრთხოა როგორც მამაკაცის.

fc2
FEMALE CONDOM
Female
CONDOM
New improved femidom
NOW SOFTER AND MORE SENSUAL
PACK OF 3
Condoms for women
Woman Initiated Contraception
Dual Protection
Breakage
Superior
Nitrile
Condoms

კონდომის შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ !!!!

- ვარგისიანობის ვადას და დამზადების თარიღს;
- თუ კონდომი ალუმინის შეფუთვითაა, მისი გამოყენება შესაძლებელია დამზადებიდან 3 წლის განმავლობაში;
- საიმედოა მხოლოდ გაუხსნელი და დაუზიანებელი პაკეტი;
- კონდომი უნდა შეინახოთ გრილ და ბნელ ადგილას. ნუ შეინახავთ მას ხანგძლივად ჯიბეში, ან მანქანაში;
- **გახსოვდეთ!!!** კონდომი მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისაა.

არ შეიძლება საცხის სახით ვაზელინის ან მსგავსი ნივთიერების გამოყენება ისინი აზიანებენ კონდომს. მრავალი კონდომი უკვე შეიცავს საცხს.



კონდომით სექსობრივი ცხოვრება უსაფრთხოა,
ხოლო კონდომის გარეშე
მიღებული შედეგების მკურნალობა
ძალიან ძვირია და ზოგჯერ უშედეგოც

მოგვმართე კონსულტაციისთვის და გაიგე მეტი შენი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების შესახებ

კონფიდენციალური ონლაინ-კონსულტირებისა და
მეგობრული სერვისის ელ. მისამართი:
www.youth-counceling.ge

სამუშაო დღეები, 14:00-დან 17:00 სთ-მდე.
პირადი კონსულტირებისთვის გელოდებით
"ახალგაზრდულ მეგობრულ ცენტრში",
სამშაბათს და ხუთშაბათს, 14:00-დან 17:00 სთ-მდე შემდეგ

მისამართზე: თბილისი, გამსახურდიას გამზირი II კვარტალი,
9 კორპ. ბ. 2. ტელ: 2 14 28 53

ჰერა HERA XXI
HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE

IPPF International Planned Parenthood Federation
European Network